

საინფორმაციო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებთან

ცესკოს სწავლების ცენტრმა 73-ვე საოლქო საარჩევნო კომისიასთან (კომისიების სრული შემადგენლობისთვის) საინფორმაციო შეხვედრები გამართა.

შეხვედრის მიზანია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა, საარჩევნო ოპერაციების ეფექტიანად მართვის უზრუნველსაყოფად.

ღონისძიება ცესკოს თავმჯდომარემ გიორგი კალანდარიშვილმა და სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა გახსნეს. მათ ყურადღება გაამახვილეს, რომ არჩევნებისთვის საქმიანობის მაღალი სტანდარტით განსახორციელებლად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების მიზნით ერთგვაროვანი პრაქტიკის განმტკიცება და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების გუნდურად, კონსტრუქციულად მუშაობა.

73 საოლქო საარჩევნო კომისიის 1241 წევრისგან დაკომპლექტებულ 18 ჯგუფთან საინფორმაციო შეხვედრები, 1-5 სექტემბრის პერიოდში, დისტანციურ ფორმატში წარიმართა.

მონაწილეები დეტალურად გაეცნენ შემდეგ ძირითად საკითხებს: საოლქო საარჩევნო კომისიის მანდატი, უფლებამოსილებების მიმოხილვა და პროფესიული ეთიკა; საოლქო საარჩევნო კომისიის ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში; ამომრჩეველთა სიების შედგენა, გამოქვეყნება და მონაცემთა გადამოწმება; საუბნო საარჩევნო კომისიებთან კოორდინაცია/კომუნიკაცია; კენჭისყრის დღის პროცედურები და ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი; კენჭისყრის დასრულების შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიიდან დოკუმენტაციის მიღება/დახარისხება; საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმება/ხელახლა დათვლა; საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, შეხვედრის ფარგლებში საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველებისთვის, კენჭისყრაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, განსახორციელებელი სერვისების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია:

<http://electionreforms.ge/geo/list/show/3158-sainformatsio-shekhvedrebi-saolqo-saarchevno-komisiebis-tsevrebta->

<http://electionreforms.ge/geo/list/show/3168-saolqo-saarchevno-komisiebis-tsevrtasainformatsio-shekhvedrebtadastsrebis-statistika-2021-tslis-2-oqtombris-archevnebtvis>